საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელბაქიძე მიხეილ სიმონის ძე

ელბაქიძე მიხეილ სიმონის ძე (დ. 20. IX. 1931, სოფ. ელბაქიანთ კარი, ახლანდ. ელბაქიანი, ქარელის მუნიციპალიტეტი), საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი (1988). დაამთავრა თბილ. მეტალურგ. ტექნიკუმი (1951), კიევის საერთო საჯარისო სასწავლებელი (1955), მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1965). 1955–62 მსახურობდა ბალტიისპირეთის სამხ. ოლქში. 1965-იდან მეთაურობდა კარპატისპირეთის სამხ. ოლქის მოტომსროლელ ბატალიონს, 1967-იდან – პოლკს. 1972–76 მუშაობდა დივიზიის შტაბის უფროსად, 1976–84 – კარპატისპირეთის სამხ. ოლქის შტაბის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შტაბის უფროსად. 1982 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. 1984–92 იყო საქართვ. სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი, 1992–94 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, თავდაცვის სამინისტროს სამხ. მრჩეველი. 1994-იდან თადარიგშია. მიღებული აქვს საბრძოლო ჯილდოები.

ლ. დოლიძე